საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბ-ნ ლევან დავითაშვილს
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მაქს იმპორტი"-ს
დირექტორი
დავით ზურაბიშვილის

განმარტებები

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 6558/01 (29/06/2021) წერილის თანახმად, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მარის არხის III დასახლებაში, სს „რკინა-ბეტონის" მიმდებარე ტერიტორიაზე ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეკითხვებზე, გაცნობებთ:

<u>შეკითხვა:</u>

•გზშ-ის ანგარიში არ არის წარმოდგენილი საწარმოში არსებული მდგომარეობის შესაბამისად. კერძოდ, შპს „მაქს იმპორტს" უკვე მოწყობილი აქვს დამატებითი 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი, ასევე გაზრდილია 8 ტ/სთ წისქვილის წარმადობა და დამონტაჟებულია დამატებითი 11 სილოსი. მიუხედავად აღნიშნულისა, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მონტაჟდება დამატებითი 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი, ამასთან მითითებულია, რომ გაიზარდა სილოსების რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას, მათ შორის მითითებული უნდა იქნეს როდის განხორციელდა ზემოაღნიშნული საქმიანობები და საწარმოს მუშაობს თუ არა გაზრდილი წარმადობისა და სილოსების შესაბამისად;

<u>პასუხი:</u>

საწარმოში გაერთიანების შემდეგ ფუნქციონირებს 3 ტ/სთ წარმადობის და 8 ტ/სთ წარმადობის წისქვილები. ასევე საწარმოში უკვე დამონტაჟებულია 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი და 16 ცალი სილოსი, საიდანაც 5 ცალი არსებულია და 11 ცალი შემდგომ დამონტაჟებული.

საწარმოში დამონტაჟებული 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილის (დღეისობით არ ფუნქციონირებს) გაშვება, ასევე 8 ტ/სთ წარმადობის წისქვილის წარმადობა 10 ტ/სთ-დე გაზრდა მოხდება შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ. აღნიშნული საწარმო ზემოთ აღნიშნული 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილისა და 11 ცალი სილოსების დამონტაჟებისათვის დაჯარიმებული იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის შესაბამისი უწყების მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11777
06 07 2021
4/12 ფ.
+ 02 +

შეკითხვა:

•გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დასაქმებული იქნება 24 ადამიანი, თუმცა საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენლის მიერ ვერ მოხერხდა საწარმოში დასაქმებული ადამიანების ზუსტი რაოდენობის დასახელება, ხოლო სავარაუდო რაოდენობა შეადგენდა 25, 40 ან 55 ადამიანს, რაც განსხვავდება გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციისგან. ამასთან ვერ დასახელდა გათვალისწინებულია თუ არა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ საწარმოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა როგორც არსებული მდგომარეობით, ისე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ. ასევე კორექტირებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშებები, სადაც გათვალისწინებულია დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მაგ. სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა);

პასუხი:

საწარმოში დასაქმებულია 24 ადამიანი, რომელთა რაოდენობა ექსპლოატაციის პირობების ცვლილების შემდეგ გაიზრდება 40-მდე.

აქედან გამომდინარე საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა წელიწადში ნაცვლად 17,52 $მ^3$-სა, მოსალოდნელია 29.2 $მ^3$-ის ოდენობით, ასევე საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ხარჯი ნაცვლად 356.4 $მ^3$/წელ-ისა გაიზრდება 594 $მ^3$-მდე.

შეკითხვა:

• გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო და სახანძრო მიზნებისთვის. დაზუსტებას საჭიროებს სახანძრო მიზნებისათვის წყალმომარაგების საკითხი;

პასუხი:

სახანძრო მიზნებისათვის და ტერიტორიის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში მორწყვისათვის საწარმო წყალს იღებს მის სიახლოვეს გამავალი შპს „მტკვარი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული არხიდან (გააჩნია ხელშეკრულება არხის მფლობელთან. იხ. დანართში). ხელშეკრულების თანახმად საწარმოს ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის შეუძლია არხიდან თვეში აიღოს 2000 $მ^3$ წყალი. ასევე არხიდან აღებული წყლისათვის გააჩნია 1 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი.

წყლის ხარჯის რაოდენობა სახანძრო მიზნებისათვის დამოკიდებულია ხანძრის ტიპზე და მის მაშტაბებზე.

შეკითხვა:

• გზშ-ის ანგარიშის თანახმად, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ამტვერიანების შემთხვევაში გათვალისწინებულია შემოსასვლელი

გზების მორწყვა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებისას საპროექტო ტერიტორია, მიუხედავად მშრალი და ცხელი ამინდისა, არ იყო მორწყული და მნიშვნელოვნად შეინიშნებოდა ამტვერების პრობლემა. გარდა ამისა, მომსახურე პერსონალისა და საწარმოს წარმომადგენლების მიერ ვერ დასახელდა მორწყვის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია (რითი ირწყვება, მორწყვის ჯერადობა). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორც ტრანსპორტირებისას გამოყენებული გზების მორწყვის, ასევე უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მორწყვის საკითხები, მათ შორის რა საშუალებებით და რამდენჯერ ხდება მორწყვა;

<u>პასუხი:</u>

როგორც უკვე აღინიშნა, სახანძრო მიზნებისათვის და ტერიტორიის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში მორწყვისათვის საწარმო წყალს იღებს მის სიახლოვეს გამავალი შპს „მტკვარი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული არხიდან (გააჩნია ხელშეკრულება არხის მფლობელთან. იხ. დანართში). ხელშეკრულების თანახმად საწარმოს ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის შეუძლია არხიდან თვეში აიღოს 2000 $м^3$ წყალი. ასევე არხიდან აღებული წყლისათვის გააჩნია 1 $м^3$ მოცულობის რეზერვუარი, რომელიც გამოყენებული იქნება არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში შემოსასვლელი გზის მორწყვისათვის. გზის მორწყვა გახორციელდება რეზინის მილების საშუალებით. მათი მორწყვის ჯერადობა დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე. ერთ მორწყვაზე გამოყენებული იქნება 1 $м^3$ წყალი.

<u>შეკითხვა:</u>

- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს 2012 წლის 23 ივლისის №26 და 2017 წლის 23 მარტს გაცემული №14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამასთან, 2017 წლის 23 მარტს გაცემული №14 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ საქმიანობაზე პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრული გონივრული ვადების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

<u>პასუხი:</u>

საწარმოში მოხდა ინსპექტირება (ოქმი #064166, 26 აპრილი 2021წ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომლის თანახმად საწარმო დაჯარიმებულ იქნა შემდეგი პუნქტების შეუსრულებობის გამო:

- საწარმოს ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია, რომელიც გადამოწმდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ);

- ნარჩენების სეპარირების მიზნით საწარმოო ტერიტორიაზე სათანადო მარკირებისა და ფერის ყუთების განთავსება (აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია, რომელიც გადამოწმდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ);
- სამეურნეო ფეკალური წყლებისა და საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე შესაბამის ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება (აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „სანიტართან", ხოლო რაც შეეხება სამეურნეო ფეკალური წყლების მართვას, ისინი უკვე მიერთებულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში);
- საწარმოს არ აქვს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა (აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია, გააჩნია შეტანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა);

<u>შეკითხვა:</u>

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში განხილული იქნება ატმოსფერულ ჰაერზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვის საკითხები იმ კანონებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებული იქნება. გაცნობებთ, რომ 2021 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1^2 პუნქტი, რომელიც ეხება დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი თვითმონიტორინგის წარმოებას.

<u>პასუხი:</u>

საწარმოს ხელმძრვანელობის მიერ უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები უწყვეტი მონიტორინგისათვის საჭირო აპარატების შეძენაზე და მის მონტაჟზე. საწარმომ აიღო ვალდებულება, მართალია დადგენილი ვადების დარღვევით, უწყვეტი მონიტორინგის უზრუნველყოფაზე და ის შესრულებული იქნება.

პატივისცემით,
დავით ზურაბიშვილი

დირექტორი

MAX IMPORT
GEORGIA, "MAX IMPORT" LTD
405164174